ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერია
გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური

წერილის ნომერი: **18-01250511689**
თარიღი: **20/02/2025**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
მისამართი: შარტავას ქ. 7

გიგზავნით ინფორმაციას სამსახურის მიერ შეთანხმებულ გამწვანების პროექტში ცვლილების შეტანის შესახებ.

გთხოვთ, აღნიშნული ცვლილება მიიღოთ ცნობად.

დანართი: 3 გვერდი;

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი

წერილის ნომერი: **18-01250501896**
თარიღი: **19/02/2025**

ადრესატი: გიორგი ხმალაძე
პირადი ნომერი: 35001018932
მისამართი: ზურაბ ანჯაფარიძის 8

ზოგადი ინფორმაცია	
წერილის ნომერი:	N19/01250493538-18
წერილის თარიღი:	18 თებერვალი, 2025
განმცხადებელი:	გიორგი ხმალაძე
განაცხადის N	AR11073325
მისამართი	ქ. თბილისი, გაგარინის ქ. 27 მიმდებარედ
საკადასტრო კოდ(ებ)ი:	01.10.13.005.035
ფუნქციური დანიშნულება; კლასი:	ოფისი; IV კლასი
ნომენკლატურა/მოთხოვნის შინაარსი:	**ცვლილება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში**
მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები/ **გრგ (განკარგულება)**	ბრძანება №7356841 თარიღი: 27 იანვარი, 2025
არსებული შეზღუდვები	-----
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის წერილი	№18-01242601747 თარიღი: 16 სექტემბერი, 2024 №18-01243512993 თარიღი: 16 დეკემბერი, 2024
ფართობ(ებ)ი:	4197 კვ.მ
მიწის ნაკვეთის მესაკუთრე(ები)	სს ,,საქართველოს ბანკი“ (ს/ნ: 204378869)
წარმოდგენილი დოკუმენტაცია	გადასარგავი ხეების ტოპო. გეგმა მინდობილობა
დასკვნა: დადებითი	

სამართლებრივი დასაბუთება

სამსახურმა იხელმძღვანელა შემდეგი სამართლებრივი საფუძვლებით: საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ,,გ“ ქვეპუნქტი; საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე, 63-ე მუხლები; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 16 იანვრის დადგენილებით №10-11 დამტკიცებული ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის დებულების“ მე-5 მუხლის მე-3 პუნქტი; ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 11 ივნისის დადგენილებით N11-58 დამტკიცებული ,,ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მწვანე ნარგავების დაცვის, მოვლისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ (შემდგომში ,,N11-58 დადგენილება“) დანართი N1-ის, პირველი, მე-2, მე-3, მე-4, მე-5, 26-ე, 29-ე, 30-ე, 31-ე, 32-ე, 34-ე, 38-ე, 39-ე მუხლები; ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2018 წლის 8 თებერვლის N05.14.147 განკარგულებით დამტკიცებული პრიორიტეტული ხეების სია.

სამსახურის პოზიცია:

ვინაიდან ვადგენთ, რომ სამშენებლო სამუშაოების სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება დაზიანდეს იმავე ტერიტორიაზე გადარგული მწვანე ნარგავები, შესაბამისად სამსახური თანახმაა 28 ძირი მწვანე ნარგავი (დაფნა N2-D=14.6სმ, N8-D=20.5სმ, N35-D=12.8სმ, N36-D=13.5სმ, N38-D=8.2სმ, N42-D=10.5სმ, N81-D=12.8სმ, კვიპაროსი N16-D=8.5სმ, N17-D=7.2სმ, N18- D=16.2სმ, N19-D=5.8სმ, N20-D=16სმ, N21-D=12.7სმ, N22-D=14.1სმ, N23-D=12.6სმ, თუთა N29-D=30.8სმ, N33-D=28.2სმ, N59-D=5.2სმ, N75-D=35.4სმ, N78-D=7.2სმ, ჭადარი N13- D=47.3სმ, თელა N54-D=3.4სმ, აილანთუსი N58-D=3.5სმ, შავი ფიჭვი N68-D=35.7სმ, N79- D=30.5სმ, მარაოსებრი პალმა N45-D=20.5სმ, ჰორიზონტალური კვიპაროსი N65-D=38.1სმ, ცაცხვი N73-D=46.1სმ) **გადაირგას მიმდებარე ტერიტორიაზე (01.10.18.001.035 - მესაკუთრე სააქციო საზოგადოება ,,საქართველოს ბანკი“).**

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შევიდეს ცვლილება სამსახურის 16 დეკემბრის N18-01243512993 ნებართვის წერილში. კერძოდ, 28 ძირი მწვანე ნარგავის **გადარგვის ადგილად დაფიქსირდეს 01.10.18.001.035 მიწის ნაკვეთი. აღნიშნული გადაწყვეტილება განხილულ იქნას სამსახურის 16 დეკემბრის N18-01243512993 წერილით დადგენილ პირობებთან ერთად.**

ასევე შევიდეს ცვლილება სამსახურის 2024 წლის 16 სექტემბრის N18-01242601747 წერილით შეთანხმებულ გამწვანების პროექტში. კერძოდ, განაშენიანების რეგულირების პარამეტრით დადგენილი 0,2 კოეფიციენტის შესაბამისად გასწორდეს კ-3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი და განისაზღვროს - 839.4 კვ.მეტრი (1259,1 კვ.მეტრის ნაცვლად). შეთანხმებული გამწვანების პროექტიდან კ-3 გამწვანების ფართობის ათვისება განხორციელდეს დასარგავად შემოთავაზებული 34 ძირი ნერგით (7 ძირი იტალიური ფიჭვი, 5 ძირი მინდვრის ნეკერჩხალი, 9 ძირი მარადმწვანე მუხა, 9 ძირი იფანი, 4 ძირი აკაკი) და ტერიტორიაზე არსებული 2 ძირი მწვანე ნარგავით (N51 ელდარის ფიჭვი,N50 თხილი).

მოცემული გადაწყვეტილება განხილულ იქნას სამსახურის 2024 წლის 16 სექტემბრის N18-01242601747 წერილით დადგენილ პირობებთან ერთად.

განსათვალისწინებელი წინაპირობა

ვალდებული ხართ მცენარეების გადარგვის დაწყებამდე წერილობით აცნობოთ დაგეგმილი სამუშაოების დაწყების თარიღისა და დროის ინტერვალის შესახებ, 2 სამუშაო დღით ადრე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის შესაბამის ადმინისტრაციულ ორგანოებს (გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურსა და მუნიციპალურ ინსპექციას) ზედამხედველობის გაწევის მიზნით, წინააღმდეგ შემთხვევაში, მწვანე ნარგავების გადარგვა ჩაითვლება უკანონოდ.

აღნიშნული პირობის დარღვევის შემთხვევაში, მწვანე ნარგავების გადარგვა ჩაითვლება უკანონოდ.

მწვანე ნარგავების გადარგვა უნდა განხორციელდეს ნებართვის მიღებიდან **პირველსავე არასავეგეტაციო პერიოდში, აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვით.**

მწვანე ნარგავების გადარგვის ნებართვა გაიცემა 1 წლის ვადით, ხოლო გადარგული მწვანე ნარგავების მოვლის სამუშაოების ხანგრძლივობა განისაზღვრება 3 წლის ვადით.

მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს ევალება, გადარგვის განხორციელების შემდეგ, *სამ თვეში ერთხელ,* წერილობით წარმოადგინოს გადარგული მცენარეების მდგომარეობის შესახებ ანგარიში და შესაბამისი ფოტომასალა.

აქვე გაცნობებთ, რომ გადარგვიდან 3 წლის განმავლობაში მწვანე ნარგავების გახმობის შემთხვევაში, მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს დაეკისრება განმეორებითი საკომპენსაციო რგვის ვალდებულება.

ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გასაჩივრება

წინამდებარე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი შესაძლოა გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), დაინტერესებული

მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

პატივისცემით,

პაატა ტოგონიძე

პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საქალაქო სამსახურის უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი